ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №**162/01/172**
CPV: **39221100** - სამზარეულოს ჭურჭელი

ქ. თბილისი 14 სექტემბერი, 2012 წელი

ერთის მხრივ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე ბადრი ნიაურის სახით (შემდგომში – შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ელიტ სერვის გრუპ", მისი დირექტორის კახა გოგავას სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 ივნისის №1072 განკარგულებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრისათვის საჭირო სხვადასხვა დასახელების ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია: სხვადასხვა დასახელების ინვენტარის -ჭურჭლის მოწოდება დანართი 1-ში მითითებული ტექნიკური აღწერილობისა და მოცულობების მიხედვით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 453.40 (ოთხასორმოცდაცმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების, (მიწოდების ადგილზე ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით, 2012 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა, გლდანის პროფესიული საგანმნათლებლო დაწესებულება.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.3. საქონლის დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების და/ან სათანადო ინვოისის წარმოდგენა საქონლის დასახელებისა და ფასის მითითებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი (მინდობილი) წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირებაზე) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლები, მათ შორის შემსყიდველი უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს მიმწოდებელთან ადგილზე.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი ინვოისი, სადაც განსაზღვრული იქნება მიმღები: „სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარულ დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1.შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ მუხლში.

8.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს საქონლის მოწოდებისთვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 5 (ხუთი) დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.4. თუ კი მიმწოდებელი 8.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს საქონლის მიწოდებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება სეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით, ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. თანმდევი მომსახურება

15.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის ტრანსპორტირება და მონტაჟი მიწოდების ადგილზე (ქ.თბილისი, გლდანის რაიონი).

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980, სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორის მოადგილე ბადრი ნიაური

_____

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი

შ.პ.ს. ,,ელიტ სერვის გრუპ", ს/კ400019430; მის. ქ. თბილისი, ველისციხის ქ. N5, ბ. 30; სს ,,თიბისი ბანკი" ; ბანკის კოდი: TBCBGE 22, ა/ა GE81TB7719636080100001

დირექტორი კახა გოგავა

(ხელმოწერა)

Superfin ©1999 GSS ltd.

დაკვეთა მყიდველებისაგან N : დაკვ-1-00010

თარიღი : 13/09/2012
შპს ელიტ სერვის გრუპ
კოდი: 400019430 მისამართი: ქ. თბილისი, ველისციხის ქ. 5
ბანკი: ს. ს .თიბისი ბანკი კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE81TB7719636080100001

<u>საქონელი დაკვეთილია ორგანიზაციიდან - სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგე</u>

10258-სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტ...: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. 1 T -

N	დასახელება	რაოდენობა	ფასი	$	წონა	ფასი ლარში	დღგ	სულ ლარში
1	WL-200016- ფინჯანი 04-813	48.0000	1.52	GEL	4.8000	73.22	13.18	86.40
2	WL-400006- 9" თეფში FL	70.0000	2.03	GEL	7.0000	142.37	25.63	168.00
3	WL-400004- 7" თეფში FL	70.0000	1.02	GEL	7.0000	71.19	12.81	84.00
4	WL-100031- 6" ჯამი AVIATION SHALLOV	30.0000	2.12	GEL	3.0000	63.56	11.44	75.00
5	WL-500056- სარძევე ყურით	20.0000	1.69	GEL	2.0000	33.90	6.10	40.00
ს უ ლ:		**238.0000**			**23.8000**	**384.24**	**69.16**	**453.40**

გადასახდელია - 384.24 GEL კურსი - 1.0000

დღგ - 69.16 GEL

სულ + დღგ - 453.40 GEL

მენეჯერი: